ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 319

“ 15 ” აგვისტო 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №40-40ა-ს მიმდებარედ არსებული 41 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.009.028) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, შპს „სპაის ლაუნჯისთვის“ (ს/კ: 406191099) იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №40-40ა-ს მიმდებარედ არსებული 41 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.009.028) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, შპს „სპაის ლაუნჯისთვის“ (ს/კ 406191099) იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 2 აგვისტოს №28.09.566 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №40-40ა-ს მიმდებარედ არსებული 41 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.009.028) შპს „სპაის ლაუნჯისთვის“ (ს/ნ: 406191099) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს საიჯარო ქირის წლიური საფასური - 7 200 (შვიდიათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი